



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

15 დეკემბერი 2023 წელი

№ 55/36

ეგზ. № 1

ახალციხის მუნიციპალიტეტის
2021-2022 წლების საქმიანობის
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	6
	1. შესავალი	8
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	8
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	8
	აუდიტის საგანი	8
	აუდიტის მასშტაბი	8
	აუდიტის კრიტერიუმები	9
	აუდიტის მიზანი	10
	აუდიტის მეთოდოლოგია	10
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	11
	2. აუდიტის მიგნებები	12
	დანართები	32
	საკონტაქტო ინფორმაცია	35

ტერმინები და შემოკლებები

- ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
- მერია – ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია.
- მუნიციპალიტეტი – ახალციხის მუნიციპალიტეტი.
- საკრებულო – ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
- შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

ბიუჯეტის შესრულება

ფინანსური რესურსების მართვაში არსებული ხარვეზები

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო საბიუჯეტო გადასახდელების, მათ შორის, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის სათანადოდ დაგეგმვა და შესრულება. აღნიშნული საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2021-2022 წლებში, შესაბამისად, 37%¹ და 47%² დააკლდა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი.³

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეზილიტაცია და ექსპლოატაცია

ინფრასტრუქტურული პროექტების არასათანადო დაგეგმვა და მართვა

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისას მუნიციპალიტეტმა რიგ შემთხვევებში შესყიდვის პროცედურები დაიწყო შესაძლო პრობლემების გათვალისწინების გარეშე და სამუშაოების მიმდინარეობის დროსაც პროცესი ოპერატიულად ვერ წარმართა. შედეგად, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები ვერ განხორციელდა ან დაუსრულებელია. მუნიციპალიტეტმა არაეფექტიანად დახარჯა 165.0 ათასი ლარი და დროულად ვერ მიაღწია პროექტების განხორციელებით დაგეგმილ შედეგს.

უხარისხო საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა

მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი სათანადო კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს უხარისხოდ შესრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამოვლენასა და მათზე სათანადო რეაგირებას. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზები მნიშვნელოვნად ზრდიდა დაგეგმილი სამუშაოების მიწოდების ვადებს და აუარესებდა შემსყიდველი ორგანიზაციის პირობებს.

დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები

მუნიციპალიტეტში არსებობს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. კერძოდ, 1,856.4 ათასი ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებისას სამუშაოების ნაწილზე არ არის მიღწეული დადგენილი ხარისხი, რის გამოც ობიექტების მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია.

გამოუყენებელი აქტივები

მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების, ასევე შეძენილი აქტივების განკარგვის მხრივ მიმდინარეობდა ხარვეზებით. მერიამ ვერ უზრუნველყო პროექტების

¹ 5,699.8 ათასი ლარი.

² 9,586.3 ათასი ლარი.

³ 2021 წელს - 2688.0 ათასი ლარი, 2022 წელს - 5,035.9 ათასი ლარი.

ოპტიმალური დაგეგმვა, არაეფექტიანად დახარჯა 685.8 ათასი ლარი და პროექტების განხორციელებით დასახულ მიზანს ვერ მიაღწია.

შესყიდვების მართვა

სატენდერო კომისიის საქმიანობის ხარვეზები

მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ შესყიდვების განხორციელების პროცესში ვერ უზრუნველყო საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა. პრეტენდენტების მოქმედი კანონმდებლობის შეუსაბამოდ და არასაკმარისად დასაბუთებული დისკვალიფიკაციის შედეგად მუნიციპალიტეტმა დაკარგა 137.2 ათასი ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

გამარტივებული წესით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის ხარვეზები

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას, მუნიციპალიტეტმა 135.1 ათასი ლარის ღირებულების ობიექტები ჩაიბარა და ანგარიშსწორება განახორციელა ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და წარმოშობს თანხების ზედმეტად ანაზღაურების რისკს.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

ავტოპარკის მართვის ხარვეზები

საწვავის ხარჯვის პროცესში მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფს მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას. აღნიშნული წარმოშობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების რისკებს.

ქონების მართვა და განკარგვა

ქონების მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტის მიერ სათანადო რეაგირების გარეშე დარჩენილი არაუფლებამოსილი პირების მიერ მუნიციპალიტეტის ქონებით სარგებლობის შემთხვევები; ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის პროცესში არ არის გამოყენებული ელექტრონული აუქციონისა და გაფორმებულ ხელშეკრულებებში საიჯარო ფასის გადახედვის შესაძლებლობა. შედეგად, ადგილობრივი ბიუჯეტი კარგავს დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას.

ჩატარებული ინვენტარიზაცია

მუნიციპალიტეტში კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. შედეგად, არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები დარჩეს შეუმჩნეველი, შესაბამისი რეაგირების გარეშე.

მმართველობითი გადაწყვეტილებები

დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ხარვეზები

მერია ვერ უზრუნველყოფს საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული დასუფთავების მოსაკრებლის სათანადოდ ადმინისტრირებას. შედეგად, მუნიციპალიტეტი სრულად ვერ იღებს დასუფთავების მოსაკრებელს.

მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემები

მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის მიწოდებას ახორციელებს არალიცენზირებული იურიდიული პირი; მოსახლეობის ნაწილს წყალი მიეწოდება შეფერხებით, არ მოწმდება სასმელი წყლის ხარისხი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საქმიანობა მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდებისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად არასაკმარისია.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია №1. მერიამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის პოლიტიკა და ბიუჯეტის განწერისას დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

რეკომენდაცია №2. მერიამ შეიმუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების წესი და განსაზღვროს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ხარისხიანი პროდუქტის შეძენას; აღნიშნული უზრუნველყოფს ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოებისა და ოპტიმალური ვადების განსაზღვრას და გააუმჯობესებს საბიუჯეტო ასიგნებების გეგმურ და თანაბარ ხარჯვას.

რეკომენდაცია №3. მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარებისა და მონიტორინგის წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა.

რეკომენდაცია №4. მერიამ საკრებულოსთან ერთად, მიზანშეწონილია შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. საჭიროა მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი ხარჯები. შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები. აღნიშნული უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

რეკომენდაცია №5. მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით განსაზღვროს კონტროლის მექანიზმები და შეიმუშაოს წესი, რითაც დარეგულირდება სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო სამორიგეო ავტომატური რაოდენობა. მერიამ დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმ(ებ)ი საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის პრევენციის მიზნით; ასევე მიზანშეწონილია შეიმუშაოს სათანადო პროცედურები, მათ შორის, ალტერნატიულ პროცედურად შესაძლოა განხილულ იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ინვენტარიზაციისას უფლებამოსილი პირების მიერ დამონტაჟებული საწვავის ჩიპების მთლიანობის შემოწმება; სამორიგეო ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე შესაძლოა განხილულ იქნეს

სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა.

რეკომენდაცია №6. მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას, მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან, ინვენტარიზაციის შედეგების დადგენას და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენას. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

რეკომენდაცია №7. მერიამ საკრებულოსთან ერთად იმსჯელოს დასუფთავების მოსაკრებლის დაგეგმილი მაჩვენებლის მობილიზების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე, მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით, მიზანშეწონილია დაიწყოს მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე, რაც უზრუნველყოფს მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებლის გაზრდას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სწორად დაგეგმვასა და კუთვნილი შემოსავლების მიღებას.

რეკომენდაცია №8. მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმავს და განახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს, გონივრულ ვადაში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით. სტრატეგია ასევე უნდა ითვალისწინებდეს პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის, წყალმომარაგების უზრუნველყოფას შესაბამისი ლიცენზიანტი სუბიექტის მეშვეობით და როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ახალციხის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარმოადგენს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარმოადგენს აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საქმიანობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2022 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. გარდამავალი ხელშეკრულებებიდან და წინა აუდიტით გამოვლენილ რისკის შემცველ საკითხებთან დაკავშირებით, შესწავლილ იქნა სხვა პერიოდის დოკუმენტაცია.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:⁴

- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადამცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების წარმოების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №364 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშებაში ასახვის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და

⁴ 2021-2022 წლებში მოქმედი რედაქციით.

ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 დეკემბრის №24 დადგენილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №4 დადგენილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემების ანალიზი;
- დოკუმენტური შემოწმება;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან;
- ადგილზე დათვალიერება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ახალციხის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი მოიცავს 19 ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც აერთიანებს 45 სოფელს და 2 ქალაქს – ახალციხესა და ვალეს.⁵ მუნიციპალიტეტის ფართობია 1,010.4 კვ. კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 39.6 ათას კაცს.⁶

2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯები გაწეულია შემდეგ პროგრამებზე: მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები – 8,117.7 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის განვითარება – 20,823.7 ათასი ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვა – 4,427.7 ათასი ლარი; განათლება – 8,584.9 ათასი ლარი; კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 6,303.1 ათასი ლარი; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 3,408.5 ათასი ლარი.

⁵ ინფორმაციის წყარო: www.mreg.reestri.gov.ge

⁶ ინფორმაციის წყარო: www.geostat.ge; www.budgetmonitor.ge (2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით).

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ფინანსური რესურსების მართვა

2.1.1 ბიუჯეტის შესრულების ხარვეზები

კრიტერიუმი: ბიუჯეტის პროექტის მომზადების, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.⁷ მუნიციპალიტეტმა 2021-2022 წლებში პროგრამული ბიუჯეტებით დაგეგმა ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა, მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება და სხვ.

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.⁸

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებზე დაყრდნობით, 2021-2022 წლების შემოსულობებმა 60,627.8 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა – 51,665.3 ათასი ლარი შეადგინა. ბიუჯეტის გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში: **ცხრილი №1. მუნიციპალიტეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 2021-2022 წლებში (ათასი ლარი)**

დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	შესრუ ლების %	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	შესრულ ების %	სულ ფაქტი
შემოსულობები	27,120.1	27,869.4	103%	32,163.2	32,758.4	102%	60,627.8
შემოსავლები	24,880.1	26,611.8	107%	31,879.6	32,524.8	102%	59,136.6
არაფინანსური აქტივების კლება	2,240.0	1,257.6	56%	283.6	233.6	82%	1,491.2
ფინანსური აქტივების კლება	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
გადასახდელები	30,185.3	23,099.9	77%	39,837.5	28,565.4	72%	51,665.3
ხარჯები	14,458.2	13,072.7	90%	19,325.1	17,639.4	91%	30,712.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	15,607.2	9,907.4	63%	20,392.5	10,806.2	53%	20,713.6
ვალდებულებების კლება	119.9	119.8	100%	119.9	119.8	100%	239.6
ნაშთის ცვლილება	-3,065.3	4,769.5	-	-7,674.3	4,193.0	-	-

ორივე საბიუჯეტო წლისათვის მუნიციპალიტეტმა არასათანადოდ შეასრულა ბიუჯეტის გადასახდელების მუხლი. კერძოდ, მერიამ ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად წლის ბოლომდე ვერ აითვისა ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები⁹ და ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო პროგრამებით გათვალისწინებული შედეგები: ძირითადად ვერ დასრულდა და დაგვიანდა საგზაო ინფრასტრუქტურის, სპორტული მოედნების, სკვერების და

⁷ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

⁹ დაგვიანდა შესყიდვის პროცესი, გაიზარდა სამუშაოების მიწოდების ვადა, სამუშაოები არ დასრულდა ხელშეკრულებების შეწყვეტის გამო და სხვ.

სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები. შეუსაბამოდ დაიგეგმა ან/და არ ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება.¹⁰

საბიუჯეტო პარამეტრების არასათანადო დაგეგმვისა და შესრულების გამო, მუნიციპალიტეტი ფლობდა მნიშვნელოვანი მოცულობის საბიუჯეტო ნაშთებს.

კერძოდ, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ბალანსზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 2,980.8 ათასი ლარი. 2021 წლისათვის მუნიციპალიტეტმა დაგეგმა 3,065.3 ათასი ლარის ათვისება,¹¹ თუმცა ფულადი სახსრების დაგროვებამ 4,769.5 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა 7,750.3 ათასი ლარის ნაშთი, საიდანაც 2,688.0 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.¹² 2022 წელს მუნიციპალიტეტმა დაგეგმა 7,674.3 ათასი ლარის ათვისება, თუმცა დააგროვა 4,193.0 ათასი ლარი. საბოლოოდ, წლის ბოლოსათვის საბიუჯეტო ნაშთმა 11,943.3 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც 5,035.9 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა 2021-2022 წლებში ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული და სხვა პროექტების/პროგრამების დროულად განხორციელება და დააგროვა არსებითი მოცულობის ნაშთი (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი). აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

რეკომენდაცია №1

მერიამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის პოლიტიკა და ბიუჯეტის განწერისას დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

2.2 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

2.2.1 ინფრასტრუქტურული პროექტების არასათანადო დაგეგმვა და მართვა

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლების მიერ სატენდერო მოთხოვნებისა და ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.¹³ მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები, მათ შორის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება ითვალისწინებს ხარისხიანი პროდუქტის მიწოდების ვალდებულებას, ხოლო ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, რაციონალურად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.¹⁴

ფაქტობრივი გარემოება: 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტმა განახორციელა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი. მერიამ რიგ შემთხვევებში ვერ უზრუნველყო პროექტების ოპტიმალური განხორციელება და არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენება, კერძოდ:

- 2021 წლის 22 ივლისს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „არალთან“ კლუბის შენობის რეაბილიტაციისათვის,¹⁵ ღირებულებით

¹⁰ კულტურული და სოციალური ღონისძიებები.

¹¹ მუნიციპალიტეტმა ნაშთის ცვლილების სახით არასწორად დაგეგმა ანგარიშზე ფაქტობრივად არსებულ თანხაზე მეტი მოცულობა.

¹² თავისუფალი ნაშთი - ნაშთის ის ნაწილი, რომელიც არ არის გათვალისწინებული რაიმე მიზნებისათვის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 6.

¹³ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 1, „დ“ ქვეპუნქტი.

¹⁴ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 1, „ა“ ქვეპუნქტი.

¹⁵ NAT210009997.

1,394.6 ათასი ლარი. მიმწოდებელმა შეასრულა და მუნიციპალიტეტმა აანაზღაურა 151.0 ათასი ლარის სამუშაოები.¹⁶ სამუშაოების მიმდინარეობისას მზიდ კედლებზე გამოიკვეთა ბზარები. ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის შესაფასებლად, მუნიციპალიტეტმა მიმართა საექსპერტო დაწესებულებას.¹⁷ ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადაშლად უსაფრთხოა და საჭიროებს გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებას. მუნიციპალიტეტმა, ხარჯების სიდიდიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არ მიიჩნია აღნიშნული სამუშაოების ჩატარება და დაგეგმა შენობის დემონტაჟი. შესაბამისად, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება შეწყდა 2023 წლის 21 აპრილს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ აღნიშნული შენობის რეაბილიტაციის მიზნით მუნიციპალიტეტს შესყიდული ჰქონდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ღირებულებით 14.0 ათასი ლარი.¹⁸ პროექტის შესყიდვისას, მუნიციპალიტეტმა განსაზღვრა ტექნიკური დავალება და მოითხოვა შემდეგი: საპროექტო ორგანიზაციას საჭიროების შემთხვევაში პროექტში უნდა გაეთვალისწინებინა შენობის გამაგრებითი სამუშაოები. წარმოდგენილი პროექტი არ ითვალისწინებს შენობის გამაგრებას. მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ნაკლოვანება ცალსახად გამოვლინდა, მუნიციპალიტეტს პროექტის მიმწოდებლის მიმართ სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია;

- 2021 წლის 2 დეკემბერს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „მშენ“-თან საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ღირებულებით 275.8 ათასი ლარი.¹⁹ ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2022 წლის ივნისში. სამუშაოების წარმოების გეგმა-გრაფიკთან ჩამორჩენის მოტივით, 2023 წლის თებერვალში მუნიციპალიტეტმა ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება და მიმწოდებელს დაარიცხა პირგასამტეხლო, თანხით 46.7 ათასი ლარი.²⁰ ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მუნიციპალიტეტს მიმწოდებლისათვის უნდა მოეთხოვა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, თანხით 13.8 ათასი ლარი. მერიამ საგარანტიო პერიოდში დროულად არ მიმართა სადაზღვევო კომპანიას და დაკარგა გარანტიორისგან აღნიშნული თანხის მიღების შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის დეკემბრიდან მიმწოდებელმა რამდენჯერმე წერილობით განაცხადა, რომ ტერიტორია იყო სატყეო მეურნეობის საკუთრება და საჭიროებდა სამუშაოების წარმოების ნებართვას. აღნიშნული მიზეზით მიმწოდებელი ითხოვდა სამუშაოების ვადის გადაწევას. ხელშეკრულებაში შესული 3 ცვლილებით სამუშაოების შესრულების ვადა გადაიწია 2022 წლის ოქტომბრამდე.²¹ 2022 წლის აპრილში მუნიციპალიტეტმა მიმართა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ

¹⁶ შესრულდა სახურავის შეკეთების სამუშაოები, მოეწყო კარ-ფანჯარა, განხორციელდა სადემონტაჟო სამუშაოები და სხვ.

¹⁷ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.

¹⁸ NAT200010525.

¹⁹ NAT210020392.

²⁰ მიმწოდებელმა შეასრულა 126.7 ათასი ლარის სამუშაო - პარკინგისა და სველი წერტილის მოწყობის სამუშაოები, გზის დასასრულებლად დარჩენილია მხოლოდ ბეტონის მოწყობის სამუშაო. დარიცხული პირგასამტეხლო მიმწოდებელს არ გადაუხდია.

²¹ ზოგ შემთხვევაში სამუშაოების წარმოების ხელისშემშლელ გარემოებად ასევე დაფიქსირებულია უამინდობა.

სააგენტოს²² და ასევე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს²³ მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადმოცემასთან და აღნიშნულ ტერიტორიაზე ტყის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტმა პროექტის განხორციელება დაიწყო ისე, რომ შესაძლო პრობლემები არ გაუთვალისწინებია. მუნიციპალიტეტმა ვერც სამუშაოების მიმდინარეობის ეტაპზე შეძლო პრობლემის აღმოფხვრა და საბოლოოდ, 2023 წლის ნოემბრის მდგომარეობით, სამუშაოები დაუსრულებელია.

დასკვნა

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისას მუნიციპალიტეტმა რიგ შემთხვევებში შესყიდვის პროცედურები დაიწყო შესაძლო პრობლემების გათვალისწინების გარეშე და სამუშაოების მიმდინარეობის დროსაც პროცესი ოპერატიულად ვერ წარმართა. შედეგად, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები ვერ განხორციელდა ან დაუსრულებელია. მუნიციპალიტეტმა არაეფექტიანად დახარჯა 165.0 ათასი ლარი²⁴ და დროულად ვერ მიაღწია პროექტების განხორციელებით დაგეგმილ შედეგს.

2.2.2 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლების მიერ სატენდერო მოთხოვნებისა და ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.²⁵ მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები, მათ შორის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის შესახებ, ითვალისწინებს ხარისხიანი პროდუქტის მიწოდების ვალდებულებას, ხოლო ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2022 წლებში მუნიციპალიტეტმა 20 ხელშეკრულების ფარგლებში შეისყიდა 333.0 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული პროექტებით შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობა. გამოვლინდა, რომ შესყიდული დოკუმენტაციის ნაწილი შეიცავდა ხარვეზებს, რის გამოც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას ხელშეკრულებებში ცვლილებები შედიოდა სისტემატურად. კერძოდ, 2021-2022 წლებში გაფორმებულ 74 ხელშეკრულებაში²⁶ შეტანილია 150-ზე მეტი ცვლილება. აქედან, 39 ხელშეკრულება შეცვლილია ორჯერ და მეტჯერ. პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებში არსებული ხარვეზების გამო, იცვლებოდა სამუშაოების მოცულობები ან/და ემატებოდა ახალი სამუშაოები. აღნიშნული ხშირ შემთხვევაში იწვევდა სამუშაოების დასრულების ვადების გაზრდას. კერძოდ, 17 ხელშეკრულებაში მიწოდების ვადები 7-დან 230 დღემდე გაიზარდა. მაგალითად:

მერიამ 2022 წელს ხელშეკრულება გააფორმა სოფელ ანში გზის რეაბილიტაციის სამუშაოებზე, ღირებულებით 480.4 ათასი ლარი.²⁷ სამუშაოების დასრულების

²² წერილი №12-1222101100, 11.04.2022.

²³ წერილი №12-122217391, 22.06.2022.

²⁴ 165000=151000 + 14000.

²⁵ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 1, „დ“ ქვეპუნქტი.

²⁶ დანარჩენი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელებულია მერიის მიერ მომზადებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით.

²⁷ NAT220018479.

ვადად ხელშეკრულების მიხედვით, განისაზღვრა 2023 წლის იანვარი. სამუშაოების მიმდინარეობისას საჭირო გახდა პროექტის ცვლილებები და დამატებითი სამუშაოების წარმოება, კერძოდ გაიზარდა სანიაღვრე არხებისა და მიერთებების მოცულობები. საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანამ და ხარჯთაღრიცხვის კორექტირების პროცესმა სამშენებლო სამუშაოები შეაფერხა და ინფრასტრუქტურული პროექტის დასრულება გადავადდა 109 კალენდარული დღით.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდებაზე დანერგილი კონტროლის პროცედურები, ზოგიერთ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნებას შემენილი დოკუმენტაციის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. მნიშვნელოვანი ხარვეზებით ჩაბარებული პროდუქტი გავლენას ახდენდა მიწოდების ვადებზე. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს რაიმე სახის ღონისძიება უხარისხო საპროექტო დოკუმენტაციის მიმწოდებლების მიმართ არ გაუტარებია.

რეკომენდაცია №2

მერიამ შეიმუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების წესი და განსაზღვროს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ხარისხიანი პროდუქტის შეძენას; აღნიშნული უზრუნველყოფს ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოებისა და ოპტიმალური ვადების განსაზღვრას და გააუმჯობესებს საბიუჯეტო ასიგნებების გეგმურ და თანაბარ ხარჯვას.

2.2.3 დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელმა სამუშაო უნდა შეასრულოს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ტექნიკური დავალების და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო ნორმების დაცვით. სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.

ფაქტობრივი გარემოება: 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტმა 132 ხელშეკრულების ფარგლებში განახორციელა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, ჯამური ღირებულებით – 24,617.4 ათასი ლარი.²⁸ მუნიციპალიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებას და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებდა მერიის ინსპექტირების ჯგუფი.²⁹ ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრული იყო სამუშაოების მიღება-ჩაბარება საექსპერტო ან/და ტექნიკური ზედამხედველის³⁰ მიერ გაცემული დასკვნების საფუძველზე, რითაც დასტურდებოდა შესრულებული სამუშაოების მოცულობა, ხარისხი და შესრულების ვადები. წარმოდგენილი ინფორმაციით, მუნიციპალიტეტმა ობიექტები ჩაიბარა მერიის

²⁸ 10.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების პროექტების სახელშეკრულებო ღირებულება.

²⁹ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 20 იანვრის №12.12210201 ბრძანება, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 12 იანვრის №12.122201219 ბრძანება.

³⁰ 50.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოების 2021 წელს ამოწმებდა შპს „სამშენებლო ექსპერტიზის ბიურო“, ხოლო 2022 წელს – შპს „კრიზოლითი“ (NAT210025858).

ინსპექტირების ჯგუფის მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარებების საფუძველზე, რომლებიც შედგენილი იყო დადებითი საექსპერტო დასკვნების მიხედვით.

მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები ზოგიერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნებას სამუშაოების ხარისხის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. კერძოდ, აუდიტის ჯგუფმა შესრულებული სამუშაოები დაათვალიერა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად,³¹ რის შედეგად გამოვლინდა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები, მაგალითად: 2021 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა სოფელ წნისსა და ნაოხრებში სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 104.0 ათასი ლარი.³² სკვერების ინფრასტრუქტურა³³ დაზიანებულია.

გარდა ამისა, ხარვეზები გამოვლინდა 11 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ პროექტებზე, რომელთა ღირებულება 1,752.4 ათასი ლარია. კერძოდ, დაზიანებულია სკვერები, სპორტული მოედნები და საგზაო ინფრასტრუქტურული ობიექტები (იხ. დანართი №1).

ობიექტების ექსპლოატაციის პროცესში გამოვლენილი უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები ძირითადად აღნიშნული სამუშაოების მიმდინარეობისას მოქმედი სამშენებლო წესებისა და ნორმების დარღვევის შედეგია, რომელთა გამოვლენის ვალდებულება მერიის ინსპექტირების ჯგუფსა და შესაბამის საექსპერტო დაწესებულებას ეკისრება. დაზიანებული ობიექტების არსებობის მიუხედავად, მუნიციპალიტეტს მათი პასუხისმგებლობის შესახებ არ უმსჯელია და სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

აღსანიშნავია, რომ დათვალიერების მომენტისათვის ინფრასტრუქტურულ პროექტებს გააჩნდა მოქმედი საგარანტიო ვადა. მერიის შესაბამის სამსახურს არ ჩაუტარებია ობიექტების მონიტორინგი, რაც საშუალებას მისცემდა დროულად გამოეკვლია დაზიანების მიზეზები და მოეთხოვა მათი გამოსწორება.³⁴ შესაბამისად, მერიამ არ გამოიყენა ხელშეკრულებებით მინიჭებული უფლება და არ უზრუნველყო არსებული დაზიანებების მიმწოდებელი ორგანიზაციების სახსრებით დროული აღმოფხვრა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ დანერგა კონტროლის შესაფერისი პროცედურები და პროცესები ვერ წარმართა იმგვარად, რომ მიეღო სათანადო ხარისხის ინფრასტრუქტურული პროექტები. შედეგად, მერიამ ჩაიბარა 1,856.4 ათასი ლარის ღირებულების ისეთი ობიექტები, რომლებიც ექსპლოატაციაში მიღებიდან მოკლე დროში დაზიანდა და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. მუნიციპალიტეტმა არ დაადგინა დაზიანების გამომწვევი მიზეზები, არ გამოავლინა მათზე პასუხისმგებელი სუბიექტები და ზარალის ანაზღაურების მიზნით, არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №3

მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარებისა და მონიტორინგის წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის

³¹ 2023 წლის 18-19 ივლისს.

³² NAT210012934.

³³ სოფელ წნისში სკვერში მოწყობილი ფილების დიდი ნაწილი დაზიანებულია, ორი ლითონის კარი ჩამოვარდნილია, სოფელ ნაოხრებში ბეტონის ბილიკი დაზიანებულია.

³⁴ მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებს მიმართა სამ ობიექტზე არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით (NAT210014262, NAT210016938, NAT210012934), თუმცა ხარვეზები კვლავ ფიქსირდება.

თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა.

2.2.4 გამოუყენებელი აქტივები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის ორგანოები უფლებამოსილებათა ფარგლებში ახორციელებენ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობას, მოვლა-პატრონობას, რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციასა და განვითარებას.³⁵ შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს მხოლოდ წინასწარ დამტკიცებული და რეგისტრირებული გეგმის შესაბამისად. შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემოწმების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა და შესყიდვასთან დაკავშირებული სხვა გარემოებები.³⁶

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.³⁷

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის საქმიანობა დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების ფუნქციონირების, ასევე შეძენილი აქტივების განკარგვის მხრივ მიმდინარეობდა ხარვეზებით. კერძოდ, ობიექტების დათვალიერებისას³⁸ გამოვლინდა შემდეგი:

- მუნიციპალიტეტმა 2021 წელს შეისყიდა ქალაქ ახალციხეში ახალგაზრდული ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოები,³⁹ ღირებულებით – 326.4 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოები მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა 2021 წლის ნოემბერში. ასევე 2021 წელს შესყიდულია სპორტული კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები,⁴⁰ ღირებულებით – 1,203.7 ათასი ლარი; ქ. ახალციხეში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობის რეაბილიტაცია,⁴¹ ღირებულებით – 508.6 ათასი ლარი და ამბულატორიის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები,⁴² ღირებულებით – 42.1 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო ორგანიზაციული საკითხების სათანადოდ გადაწყვეტა და რეაბილიტირებული შენობები დროულად ვერ გამოიყენა;⁴³
- მუნიციპალიტეტს 2023 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით გამოუყენებელი ჰქონდა 2019-2020 წლებში შეძენილი 148.7 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც

³⁵ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 19.

³⁶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“: მუხლი 4, პუნქტი 1; მუხლი 6¹, „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტები.

³⁷ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ კანონი“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

³⁸ 2023 წლის 18-19 ივლისი.

³⁹ NAT210000148.

⁴⁰ NAT210000165.

⁴¹ NAT210011322. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მიმდინარეობს მოლაპარაკება შენობაში „ტექნოლოგიური ცენტრის“ განთავსებასთან დაკავშირებით.

⁴² NAT210012577.

⁴³ ახალგაზრდული ცენტრი, სპორტული კომპლექსი და ამბულატორიის შენობა 2023 წლის 29 სექტემბერს უსასყიდლო უზუფრუქტით გადაეცა ა(ა)იპ - კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას, ა(ა)იპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტულ გაერთიანებასა და ა(ა)იპ - საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს.

ითვალისწინებდა 20 ობიექტის მშენებლობა-რეაბილიტაციას. კერძოდ, არ შესრულებულა ქუჩების რეაბილიტაცია, ნაპირდამცავი ნაგებობების მოწყობა, შენობების რეაბილიტაცია და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, პროექტების გამოუყენებლობის მიზეზია არასაკმარისი ფინანსური რესურსი. მუნიციპალიტეტს საწყის ეტაპზე უნდა განესაზღვრა პროექტის რეალური საჭიროება, სავარაუდო ღირებულება, დაფინანსების წყარო და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა განხორციელებინა საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის პროცედურები. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს საანგარიშო პერიოდში გააჩნდა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი, რომლის გამოყენებაც შეეძლო აღნიშნული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოსაწყობად;

- 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტისთვის შეიძინა 49.3 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო მასალები.⁴⁴ მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით საჭირო სამუშაოები მოსახლეობას საკუთარი ძალებით უნდა ჩაეტარებინა, რის გამოც მასალები გადაეცა მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში. მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2021-2022 წლებში შეძენილი მასალებიდან გახარჯული არ იყო 28.5 ათასი ლარის ღირებულების მასალა, რომელიც დასაწყობებულია სოფლებში.

დასკვნა

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვასა და აქტივების მართვაში არსებული ხარვეზების გამო, მუნიციპალიტეტმა დროულად ვერ უზრუნველყო დასრულებული ობიექტების ფუნქციური დატვირთვა და სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად გონივრულ ვადაში ვერ გამოიყენა შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ამასთანავე, ვერ შეარჩია სამუშაოების შესრულების სათანადო ფორმა. შედეგად, მუნიციპალიტეტმა არაეფექტიანად დახარჯა 685.8⁴⁵ ათასი ლარი და ვერ მიაღწია პროექტების განხორციელებით დასახულ მიზნებს.

2.3 სახელმწიფო შესყიდვების მართვა

2.3.1 სატენდერო კომისიის საქმიანობის ხარვეზები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სატენდერო კომისია მიმწოდებლების შერჩევა-შეფასების პროცესში მსჯელობს, რამდენად შეესაბამება პრეტენდენტების მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო მოთხოვნებს.⁴⁶ სატენდერო კომისია არ აძლევს პრეტენდენტს დისკვალიფიკაციას, თუ მისი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემებს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს. თუ ტექნიკური დოკუმენტაცია საჭიროებს დაზუსტებას, სატენდერო კომისია ვალდებულია, ზუსტად მიუთითოს პრეტენდენტს დასაზუსტებელი პოზიციის/ნაწილის შესახებ.⁴⁷

⁴⁴ 2021 წლის ხელშეკრულებები №83, №108, №133. 2022 წლის ხელშეკრულებები №125, №264.

⁴⁵ 685800=508600+148700+28500.

⁴⁶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მე-4 და 27-ე მუხლები.

⁴⁷ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 27, მე-3 და მე-5 პუნქტები.

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, რაციონალურად და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვები მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.⁴⁸

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია პრეტენდენტთა ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასების დროს სატენდერო პირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, როგორც წესი, იყენებდა დისკვალიფიცირების მექანიზმს. პროცესის შესწავლით გამოვლინდა, რომ ზოგ შემთხვევაში კომისიამ დოკუმენტაციის დაზუსტების ეტაპზე პრეტენდენტებს დისკვალიფიკაცია მიანიჭა საკმარისი დასაბუთების გარეშე, კერძოდ:

- 2022 წლის დეკემბერში მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი სხვადასხვა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოსათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით – 300.0 ათასი ლარი.⁴⁹ დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ დაბალი ფასის წარმოდგენ პრეტენდენტს⁵⁰ სატენდერო კომისიამ დისკვალიფიკაცია მისცა იმ მოტივით, რომ გამოცდილების დასადასტურებლად წარმოდგენილი დანართი შეიცავდა ხარვეზებს.⁵¹ აუდიტის ჯგუფმა გადაამოწმა აღნიშნული მონაცემები. გამოვლინდა, რომ პრეტენდენტის მიერ კომისიისათვის წარმოდგენილი ინფორმაცია შესაბამისობაშია შესყიდვების ელექტრონულ პორტალზე ატვირთულ დოკუმენტაციასთან. აღსანიშნავია, რომ პრეტენდენტმა დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება გაასაჩივრა დავების საბჭოში. საბჭომ მიუთითა კომისიას, რომ მიღებული გადაწყვეტილება ბუნდოვანი იყო და ხელახლა განეხილათ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. კომისიამ გადაწყვეტილება დატოვა უცვლელი და ხელშეკრულება გააფორმა მომდევნო პრეტენდენტთან, რომლის შეთავაზებაც დაბალფასიანი პრეტენდენტის ფასს 9.0 ათასი ლარით აღემატებოდა;⁵²
- 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერები სანიაღვრე არხისა⁵³ და შენობის⁵⁴ სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე. დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ სატენდერო კომისიამ პრეტენდენტებს⁵⁵ დისკვალიფიკაცია მისცა ხარვეზებით შევსებული გამოცდილების დამადასტურებელი დანართის გამო.⁵⁶ აღსანიშნავია, რომ ხარვეზები დისკვალიფიცირებულ პრეტენდენტებს დაშვებული ჰქონდათ თავდაპირველად ატვირთულ დანართშიც, ამდენად, კომისია ვალდებული იყო, მაგრამ პრეტენდენტს ზუსტად არ მიუთითა დასაზუსტებელი პოზიციების შესახებ. საბოლოოდ, გაიმარჯვეს მომდევნო პრეტენდენტებმა,⁵⁷ რომელთა შეთავაზებაც დაბალფასიანი პრეტენდენტის

⁴⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 2, „ა“ ქვეპუნქტი.

⁴⁹ NAT220028458.

⁵⁰ შპს „ხალი“ – 74.0 ათასი ლარი.

⁵¹ ოქმის მიხედვით, არასწორად იყო წარმოდგენილი სამი ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ერთი ხელშეკრულების ღირებულება.

⁵² შპს „ერკო“ – 83.0 ათასი ლარი.

⁵³ NAT220000961 სავარაუდო ღირებულებით 683.7 ათასი ლარი.

⁵⁴ NAT210011322 სავარაუდო ღირებულებით 576.5 ათასი ლარი.

⁵⁵ შპს „ემ-სი-გრუპი“ – 590.0 ათასი ლარი, „შპს მეტალა“ – 545.8 ათასი ლარი.

⁵⁶ ოქმის მიხედვით, არასწორად იყო წარმოდგენილი ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულების ღირებულება და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

⁵⁷ შპს „არალი“ – თანხით 576.5 ათასი ლარი, NAT220010087- შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №2“ – 677.7 ათასი ლარი.

ფასს ერთ შემთხვევაში აღემატებოდა 87.7 ათასი ლარით, ხოლო მეორე შემთხვევაში – 30.7 ათასი ლარით;

- 3 ტენდერში⁵⁸ დაბალი ფასის წარმომდგენ პრეტენდენტებს მუნიციპალიტეტმა დისკვალიფიკაცია მისცა გამოცდილების დასადასტურებლად წარმოდგენილი დანართის არასწორად შევსების გამო – წარმოდგენილ დანართებში სახელშეკრულებო ღირებულებები ან/და ხელშეკრულებების მოქმედების ვადები არასწორად იყო მითითებული.⁵⁹ სამივე შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების არსებობის შემთხვევაში, საკმარისია ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი განცხადების ნომრის⁶⁰ წარმოდგენა. აღსანიშნავია, რომ ყოველ პრეტენდენტს ცხრილში მითითებული ჰქონდა ყველა შესყიდვის ნომერი. შესაბამისად, კომისიას შეეძლო საკმარისი რწმუნების მიღება მონაცემების შესყიდვების ელექტრონულ გვერდზე გადამოწმებით. მიუხედავად ამისა, პრეტენდენტებს მისცეს დისკვალიფიკაცია და ყველა შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმდა უფრო მაღალი ფასის მქონე პრეტენდენტებთან. შედეგად, ჯამში ხელშეკრულებების ღირებულება გაიზარდა 9.8 ათასი ლარით;⁶¹
- 2022 წლის ივლისში გამოცხადებულ ტენდერში,⁶² სავარაუდო ღირებულებით 440.3 ათასი ლარი, სატენდერო კომისიამ გამარჯვებულად გამოაცხადა და ხელშეკრულება გააფორმა შპს „კომპანია ელ ეს ჯორჯიასთან“. დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ პრეტენდენტი ვერ აკმაყოფილებდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნას გამოცდილებასთან დაკავშირებით, კერძოდ, სატენდერო დოკუმენტაციით კომისიას მოთხოვნილი ჰქონდა არანაკლებ 2,830.4 ათასი ლარის ღირებულების გზის ბეტონის საფარის მოწყობის ან/და რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულების გამოცდილება. პრეტენდენტმა აღნიშნულ სამუშაოებზე წარმოადგინა მხოლოდ 1,934.0 ათასი ლარის სამუშაო გამოცდილება.⁶³

დასკვნა

მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ შესყიდვების განხორციელებისას ზოგ შემთხვევაში ვერ უზრუნველყო საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა. პრეტენდენტების მოქმედი კანონმდებლობის შეუსაბამოდ და არასაკმარისად დასაბუთებული დისკვალიფიკაციის შედეგად, მუნიციპალიტეტმა დაკარგა 137.2 ათასი ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.⁶⁴

2.3.2 გამარტივებული წესით სამშენებლო

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის სამართლებრივი აქტების შესაბამისად,⁶⁵ გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო

⁵⁸ NAT220012970, NAT220000991, NAT220000986.

⁵⁹ შეცდომები ძირითადად გამოწვეული იყო ხელშეკრულებაში შესული ცვლილებებით - დანართში გადმოტანილი არ იყო ცვლილებების შედეგად გაზრდილი მოქმედების ვადები ან/და ღირებულებები.

⁶⁰ SPA, NAT, DAP, CMR.

⁶¹ NAT220012970 - 4.6 ათასი ლარი, NAT220000986 - 4.2 ათასი ლარი, NAT220000991 - 1.0 ათასი ლარი.

⁶² NAT220014995.

⁶³ მიმწოდებელმა სამუშაოები შეასრულა და ობიექტი ფუნქციონირებს.

⁶⁴ 137200=9000+87700+30700+9800

⁶⁵ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“.

სამუშაოების შესყიდვის ხარვეზები

სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.⁶⁶

ფაქტობრივი გარემოება: 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 3 ხელშეკრულებით, შეისყიდა სამშენებლო სამუშაოები, საერთო ღირებულებით – 135.1 ათასი ლარი.⁶⁷ აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში, მერიამ სამუშაოები ჩაიბარა და ანგარიშსწორება განახორციელა ფაქტობრივი დანახარჯების დადასტურების გარეშე. აუდიტის ჯგუფმა მოითხოვა ფაქტობრივი ხარჯის ამსახველი დოკუმენტაცია, თუმცა მერიამ შესაბამისი მონაცემები ვერ წარმოადგინა.

გამარტივებული შესყიდვის დროს შესრულებული სამუშაოების ფასი დგინდება არაკონკურენტულ გარემოში, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შესაბამისად, შესაძლოა შესყიდვა განხორციელდეს არასაბაზრო ფასად. ამ რისკიდან გამომდინარე, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს ანაზღაურება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტების საფუძველზე. მუნიციპალიტეტმა ანგარიშსწორებისას აღნიშნული მოთხოვნა არ გაითვალისწინა.

დასკვნა

სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვისას, მუნიციპალიტეტმა არ დაიცვა მოქმედი კანონმდებლობა და 135.1 ათასი ლარი მიმწოდებლებს აუნაზღაურა ფაქტობრივი დანახარჯების დათვლისა და დადასტურების გარეშე. აღნიშნული, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ქმნის საბიუჯეტო სახსრების ზედმეტად ანაზღაურების რისკს.

რეკომენდაცია №4

მერიამ საკრებულოსთან ერთად, მიზანშეწონილია შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. ამასთანავე, საჭიროა მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი ხარჯები; შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები. აღნიშნული უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

2.3.3 ხელშეკრულებების ადმინისტრირების ხარვეზები

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად, შესყიდვის მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადას.⁶⁸ სატენდერო დოკუმენტაციასა და ხელშეკრულებაში ასახული პირობების შესრულება სავალდებულოა შესყიდვებში მონაწილე პირებისთვის. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს და სამუშაოს დასრულების ვადა გაგრძელდეს მხოლოდ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო. ამასთანავე, დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება

⁶⁶ 2019 წლის 27 თებერვლიდან რეგულაცია ვრცელდება გამარტივებული წესით შესყიდულ ისეთ სამუშაოებზე, რომელთა ღირებულება აღემატება 40.0 ათას ლარს.

⁶⁷ CMR220135061, CMR220135816, CMR220160154.

⁶⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 33, პუნქტი 5.

შემსყიდველი ორგანიზაციის პირობების გაუარესება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.⁶⁹

გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების მიხედვით, მუნიციპალიტეტი იყენებდა საჯარიმო სანქციებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროდ შესრულებისთვის. პირგასამტეხლოს გადახდა, ისევე როგორც ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება, მხარეებისათვის სავალდებულოა.

ფაქტობრივი გარემოება: სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში მუნიციპალიტეტი მიმწოდებლების მიმართ იყენებდა საჯარიმო სანქციებს სახელშეკრულებო პირობების დარღვევის გამო. ხელშეკრულებების ადმინისტრირების პროცესის შესწავლით გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

- 2021-2022 წლებში შესყიდვის ხელშეკრულებების პირობების დარღვევისთვის მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლებზე დარიცხულმა და მიუღებელმა ჯარიმებმა 113.3 ათასი ლარი⁷⁰ შეადგინა. საჯარიმო სანქციების ადმინისტრირების კუთხით მუნიციპალიტეტს სათანადო ღონისძიებები დროულად არ გაუტარებია - ერთ შემთხვევაში მერიამ გამოიყენა მხოლოდ წერილობითი მიმართვა, ხოლო ორ შემთხვევაში სასამართლოს მიმართა აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში;⁷¹
- 28 ხელშეკრულებისათვის⁷² მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებს სამუშაოების ვადა გადაუწია უამინდობის მოტივით. ვადის გადაწევის საფუძველი იყო საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოდან წარმოდგენილი ცნობა ნალექიანი დღეების რაოდენობის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები არ მიუთითებს, რომ ეს მონაცემები აღემატება რეგიონის საშუალო მაჩვენებელს და ფორსმაჟორულია. გარდა ამისა, საპროექტო ორგანიზაციის მიერ სამუშაოების შესასრულებლად დადგენილი ვადა, როგორც წესი, ითვალისწინებს ნალექიან დღეებსაც. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა უამინდობის მოტივით მიმწოდებლებს გადაუწია მიწოდების ვადები და არ გაავრცელა ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები.

დასკვნა

მუნიციპალიტეტი სათანადოდ არ აკონტროლებდა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცულობას, კერძოდ, დროულად არ გაუტარებია შესაბამისი ღონისძიებები საჯარიმო თანხების ბიუჯეტში სრულად მობილიზების მიზნით. ამასთანავე, სამუშაოების დასრულების ვადები 28 შემთხვევაში გაზარდა დაუსაბუთებლად, არაობიექტური მიზეზებით.

2.4 წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით,⁷³ 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად რეკომენდებული იყო 7 სამორიგეო ავტომანქანა.

⁶⁹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 21, პუნქტი 5.

⁷⁰ NAT220002841 – 64.2 ათასი ლარი, NAT210020392 - 46.7 ათასი ლარი, NAT200015826 - 2.4 ათასი ლარი.

⁷¹ NAT200015826 და NAT220002841 ხელშეკრულების ფარგლებში დარიცხული საჯარიმო თანხის მიუღებლობა მუნიციპალიტეტმა გაასაჩივრა 2023 წლის 18 სექტემბერს და 2023 წლის 29 ნოემბერს.

⁷² NAT220027240, NAT220024560, NAT220024551, NAT220023589, NAT220023512, NAT220022109, NAT220021618, NAT220021023, NAT220021021, NAT220021016, NAT220020861, NAT220020858, NAT220019882, NAT220018479, NAT220018158, NAT220016611, NAT220014995, NAT220002105, NAT210020392, NAT210020384, NAT210019354, NAT210016234, NAT210015177, NAT210014408, NAT210000165, NAT210001857, NAT200015933, NAT200017514.

⁷³ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 5.

2.4.1 ავტოპარკის მართვის ხარვეზები

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეთხოვათ მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე მიიღონ ნორმატიული აქტი, დადგენილებით განსაზღვრული წესისა და პრინციპების შესაბამისად.⁷⁴

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო პრიორიტეტულად მიიჩნევს საწვავით გამართვა განხორციელდეს აგაი სისტემის⁷⁵ გამოყენებით. სათანადო გამოყენების პირობებში სისტემამ უნდა უზრუნველყოს საწვავის ხარჯვაზე ეფექტიანი კონტროლი.

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.⁷⁶

ფაქტობრივი გარემოება: საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტი „ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის შესახებ“, თვითმმართველობებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი შესრულება. მიუხედავად ამისა, მერიამ ვერ წარმოადგინა რეკომენდაციის შესაბამისად მიღებული სამართლებრივი აქტი.

2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად იყენებდა ბალანსზე არსებულ 15 განპიროვნებულ და 2 სამორიგო ავტომანქანას. წლების შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ასევე სარგებლობდა საჯარო მოხელეების საკუთრებაში არსებული 27-29 ავტომობილით. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტმა გახარჯა 159.8 ათასი ლიტრი საწვავი. მათ შორის, საჯარო მოხელეების საკუთრებაში არსებულ ავტომობილებზე გაცემულია 83.0 ათასი ლიტრი საწვავი.

ავტომანქანების საწვავით გამართვა ხორციელდებოდა კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის ავტოგასამართი სადგურიდან, აგაი სისტემის გამოყენებით. საწვავის ხარჯვის დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა ხარვეზები საწვავის მიზნობრივ გამოყენებასა და რაციონალურ ხარჯვასთან დაკავშირებით, კერძოდ:

- გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ავტოსატრანსპორტო საშუალებებში ერთჯერადად ან დროის მცირე ინტერვალში 2021-2022 წლებში ჩასხმულია ავტომობილის ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობის საწვავი. აღნიშნული შეუსაბამობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აგაი სისტემით აღჭურვილი ავტომანქანისათვის განკუთვნილი საწვავით იმართება სხვა ტრანსპორტი, ჩიპის გადაადგილების შედეგად:
 - ავტომობილის ავზის მოცულობაზე გადაჭარბებით საწვავი ჩასხმულია 40 შემთხვევაში (იხ. დანართი №2);

⁷⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 2.

⁷⁵ აგაი სისტემა - ავტომანქანის გამართვა და ავტომატური იდენტიფიცირება. სისტემა/საშუალება, რომლის გამოყენებითაც ავტორიზებული ავტომობილის ავზზე ავტოგასამართ სადგურზე იდენტიფიკაციისათვის მონტაჟდება სპეციალური ჩიპი (მეხსიერების ბარათი).

⁷⁶ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

- დროის მცირე ინტერვალში ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობით საწვავი ჩასხმულია 8 შემთხვევაში (იხ. დანართი №3).
- გამოვლინდა მივლინების ან/და სხვა სახის დასაბუთების გარეშე ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ მდებარე ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავით გამართვის 267 ფაქტი. ამ შემთხვევებში ავტომანქანებში ჩასხმულია, ჯამში, 8.1 ათასი ლიტრი საწვავი (იხ. დანართი №4).

დასკვნა

მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნორმატიული აქტი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე; საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფს მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიან კონტროლს. შედეგად, საწვავი გამოყენებულია არავტორიზებულ ავტომანქანებზე, ასევე კონკრეტული მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ, რაც წარმოშობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების რისკებს.

რეკომენდაცია №5

მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით განსაზღვროს კონტროლის მექანიზმები და შეიმუშაოს წესი, რითაც დარეგულირდება სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო სამორიგეო ავტომანქანების რაოდენობა. მერიამ დაანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმ(ებ)ი საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის პრევენციის მიზნით; ასევე მიზანშეწონილია შეიმუშაოს სათანადო პროცედურები, მათ შორის, ალტერნატიულ პროცედურად შესაძლოა განხილულ იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ინვენტარიზაციისას უფლებამოსილი პირების მიერ დამონტაჟებული საწვავის ჩიპების მთლიანობის შემოწმება; სამორიგეო ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ასევე შესაძლოა განხილულ იქნეს სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა.

2.5 იურიდიული პირების მართვა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, უფლება აქვს დააფუძნოს იურიდიული პირები, რომლებიც ორგანიზებას გაუწევენ მისი უფლებამოსილების სფეროში განსახორციელებელ ერთობლივ ღონისძიებებს.⁷⁷

2.5.1 დანიშნულების მართვის ორგანიზაციის დაფინანსების ხარვეზები

2021-2022 წლებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ფუნქციონირებდა რეგიონის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ – სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია. წესდების მიხედვით სუბიექტის საქმიანობის მიზანია რეგიონის იმიჯის ამაღლება, ტურიზმის პოპულარიზება, რეგიონში უნიკალური ტურისტული პროდუქტების შემუშავება და სხვ.

მუნიციპალიტეტს, როგორც დამფუძნებელს, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ა(ა)იპ-ის საქმიანობასა და მართვაში. მუნიციპალიტეტმა უნდა დაანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.⁷⁸

⁷⁷ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 20, პირველი და მე-2 პუნქტები.

⁷⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

ფაქტობრივი გარემოება: 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტმა 30.0 ათასი ლარით⁷⁹ დააფინანსა ა(ა)იპ – სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია.

შესწავლით დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტი არ ატარებდა მის მიერ დაფუძნებული და დაფინანსებული ორგანიზაციის საქმიანობის სათანადო მონიტორინგს. იურიდიული პირის განხორციელებული საქმიანობის შესახებ მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ფორმალური ხასიათისაა და ვერ უზრუნველყოფს შედეგების მიმოხილვასა და ანალიზს. მასში წარმოდგენილია ფინანსური ინფორმაცია ორგანიზაციის გასული წლის ხარჯების შესახებ, თუმცა განხილული არ არის კონკრეტული საქმიანობა, შეფასებული არ არის სტრატეგიით დასახული მიზნების მიღწევის/დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების მდგომარეობა და შეუსრულებლობის მიზეზები. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სარგებელი მიიღო ტურიზმისა და ეკონომიკური განვითარების კუთხით.

დასკვნა

მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული სათანადო კონტროლის მექანიზმები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის განვითარებასა და საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას. მერია არ ფლობს ინფორმაციას ორგანიზაციისათვის გადაცემული ფინანსური რესურსების ხარჯვის ეფექტიანობის შესახებ. ამდენად, მუნიციპალიტეტის ჩართულობა მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის საქმიანობაში არასაკმარისი და არაეფექტიანია. შედეგად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაწეული 30.0 ათასი ლარის ხარჯის მიზანშეწონილობა სათანადოდ ვერ იქნა დასაბუთებული.

2.6 ქონების მართვა და განკარგვა

2.6.1 მუნიციპალური ქონების მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: თვითმმართველი ერთეული ქონებრივი უფლებების განხორციელებისას ვალდებულია, შესაბამისი კონტროლის მექანიზმების გამოყენებით, უზრუნველყოს ქონების მონიტორინგი და დაიცვას მუნიციპალიტეტის, როგორც მესაკუთრის კანონიერი ინტერესები.⁸⁰

კანონმდებლობის მიხედვით, მხარემ შეიძლება მოითხოვოს ხელშეკრულების მისადაგება ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შეცვლილი გარემოებებისადმი.⁸¹ საიჯარო ქირის საფასური შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.⁸²

მუნიციპალიტეტს აქვს უფლება ქონება გასცეს პირდაპირი განკარგვის გზით, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის ქონებაზე სარგებლობის უფლება გადაეცეს იმ პირს, რომელიც სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებს მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი წესით განკარგვისას დადგენილ პირობებს.⁸³

ფაქტობრივი გარემოება 1: 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტი ფლობდა 449 ერთეულ სხვადასხვა დასახელების უძრავ ქონებას. მერიამ ვერ უზრუნველყო საკუთრებაში არსებული აქტივების სათანადო განკარგვა, კერძოდ:

⁷⁹ 2021 წელი - 15.0 ათასი ლარი, 2022 წელი - 15.0 ათასი ლარი.

⁸⁰ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 109.

⁸¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 398.

⁸² მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებები.

⁸³ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 26.

- მუნიციპალიტეტმა პირდაპირი განკარგვის წესით გასცა 5 არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი.⁸⁴ ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით განკარგვის დროს იზრდება ინფორმირებულ პირთა წრე და ვაჭრობის კონკურენტულ/გამჭვირვალე გარემოში წარმართვის შესაძლებლობა. აღნიშნული კი ხელს უწყობს ქონებიდან მაქსიმალური სარგებლის მიღებას. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულება, თუ რა აუცილებელი პირობით იყო გამოწვეული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით გაცემა;
- 2021-2022 წლებში მუნიციპალიტეტში მოქმედებდა 10 გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულება, რომლებიც გაფორმებულია 2013-2019 წლებში. ხელშეკრულებების უმეტესობა ითვალისწინებდა ხელშეკრულების პირობების, მათ შორის საიჯარო ფასის პერიოდულ გადასინჯვას. მუნიციპალიტეტს არ უმსჯელია იჯარით გაცემული ქონების საიჯარო ღირებულების გადახედვისა და საბაზრო ფასებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ;⁸⁵
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სამი შენობა-ნაგებობა⁸⁶ უნებართვოდ დაკავებული აქვთ სოციალურად დაუცველ ოჯახებს. აღნიშნული სამართლებრივად დარღვეული არ არის.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ სათანადო რეაგირების გარეშე დარჩენილი არაუფლებამოსილი პირების მიერ მუნიციპალიტეტის ქონებით სარგებლობის შემთხვევები; ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის პროცესში არ არის გამოყენებული ელექტრონული აუქციონისა და გაფორმებულ ხელშეკრულებებში საიჯარო ფასის გადახედვის შესაძლებლობა. შედეგად, ადგილობრივი ბიუჯეტი კარგავს დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას.

2.6.2 ჩაუტარებელი ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,⁸⁷ საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, რომლის ინვენტარიზაცია ხორციელდება სამ წელიწადში ერთხელ მაინც. ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე, იქმნება საინვენტარიზაციო კომისია.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტს 2021-2022 წლებში არ ჩაუტარებია აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შესაბამისად, არ განხორციელებულა აქტივების, ვალდებულებებისა და ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან შედარება; ასევე არ ჩატარებულა

⁸⁴ 62.09.58.539; 62.09.55.365; 62.09.54.777; 62.09.58.539; 62.09.55.116 - სულ 222 კვ.მ.

⁸⁵ ხელშეკრულების დადების თარიღი და საკადასტრო კოდები: 1. 10.12.2013, 62.09.51.255; 2. 24.02.2014, 62.09.51.255; 3. 28.11.2016, 62.09.58.846; 4. 25.11.2015, 62.09.58.133 62.09.58.140 62.09.54.980; 5. 15.06.2017, 62.09.51.255; 6. 10.08.2017, 62.09.58.894 62.09.54.981 62.09.58.893 62.09.54.983 62.09.61.010 62.09.60.132; 7. 10.08.2017, 62.09.58.902 62.09.59.989 62.09.54.987 62.09.58.897 62.09.58.892 62.09.60.131 62.09.60.133; 8. 25.04.2018, 62.09.58.846; 9. 01.06.2018, 62.09.51.255; 10. 31.08.2015, 62.08.55.047.

⁸⁶ 62.09.52.383; 62.09.51.302; 62.09.52.282.

⁸⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“, მე-2 და მე-3 მუხლები; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №364 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშებაში ასახვის შესახებ“, მე-2 და მე-3 მუხლები.

შემოწმება, ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის/დაცვის წესებისა და პირობების და არაფინანსური აქტივების ექსპლოატაციის წესების დაცვის კანონთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ყველა აქტივი არ არის ჩაბარებული მატერიალურად პასუხისმგებელ პირზე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტს არ აქვს დაწესებული სათანადო კონტროლი საკუთრებაში არსებული აქტივების მოძრაობაზე. შესაბამისად, არსებობს მაღალი რისკი, მისი კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები დარჩეს შეუმჩნეველი, შესაბამისი რეაგირების გარეშე.

დასკვნა

ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების გამო, მუნიციპალიტეტმა დაარღვია სამართლებრივი აქტის პირობები ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ. შედეგად, არსებობს მაღალი რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არაფინანსური და ფინანსური აქტივების, მატერიალური ფასეულობების შენახვისა და დაცვის პირობების დარღვევის, ასევე დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები.

რეკომენდაცია №6

მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას, მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან, ინვენტარიზაციის შედეგების დადგენას და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენას. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

2.7 მმართველობითი გადაწყვეტილებები

2.7.1 დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ხარვეზები

კრიტერიუმი: ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში.⁸⁸ მუნიციპალიტეტში საკრებულოს დადგენილების საფუძველზე დაწესებულია დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.⁸⁹

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას ახორციელებს მერიის ეკონომიკური სამსახური.⁹⁰ სამსახურს იურიდიულ პირებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები მოსაკრებლის გადახდაზე. ხელშეკრულებების მიხედვით, იურიდიულ პირებს 2021-2022 წლებში მოსაკრებლის სახით უნდა გადაეხადათ 401.3 ათასი ლარი. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, გადაუხდელობა დასუფთავების მოსაკრებელმა 60.1 ათასი ლარი შეადგინა. მუნიციპალიტეტი ასევე ახორციელებს მოსაკრებლის ამოღებას ფიზიკური პირებისგან. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, გადაუხდელი დასუფთავების მოსაკრებელი ფიზიკური პირებისათვის შეადგენდა 598.2 ათას ლარს.⁹¹ მუნიციპალიტეტს სათანადო ღონისძიებები კუთვნილი მოსაკრებლის მიღების მიზნით არ გაუტარებია.

⁸⁸ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, მუხლი 1.

⁸⁹ საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №29 დადგენილება.

⁹⁰ სამსახურის დებულება, მუხლი 6.

⁹¹ მათ შორის, 2021 წლის 1 იანვრისთვის გადაუხდელი მოსაკრებელი შეადგენდა 191.5 ათას ლარს.

დასკვნა

მერიამ ვერ უზრუნველყო საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული დასუფთავების მოსაკრებლის სათანადოდ ადმინისტრირება, რაც უარყოფითად აისახა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე.

რეკომენდაცია №7

მერიამ საკრებულოსთან ერთად იმსჯელოს დასუფთავების მოსაკრებლის დაგეგმილი მაჩვენებლის მობილიზების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე, მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით, მიზანშეწონილია დაიწყოს მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე, რაც უზრუნველყოფს მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებლის გაზრდას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სწორად დაგეგმვასა და კუთვნილი შემოსავლების მიღებას.

2.7.2 საბიუჯეტო პროცესის ხარვეზები

კრიტერიუმი: ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით, საფინანსო ორგანო საბიუჯეტო ორგანიზაციებს უგზავნის საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს, ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით.⁹²

საბიუჯეტო კოდექსი განსაზღვრავს ინფორმაციის ნუსხას, რომელსაც უნდა მოიცავდეს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ შევსებული საბიუჯეტო განაცხადი⁹³ და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.⁹⁴

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საბიუჯეტო პროცესი გამოირჩევა შემდეგი ნაკლოვანებებით:

- 2021-2022 წლების ბიუჯეტების პროექტის მომზადების მიზნით, მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანოს საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის არ გაუგზავნია საბიუჯეტო განაცხადის ფორმები ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით. მერიამ მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს მხოლოდ წერილობით მიმართა განაცხადების წარმოდგენის მოთხოვნით;
- ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადები არ მოიცავს დასაქმებულთა საპროგნოზო რიცხოვნობას;
- 2021-2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში არ მოიცავს პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, როდესაც ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს.

დასკვნა

2021-2022 წლების საბიუჯეტო პროცესი მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა ხარვეზებით და ზოგიერთ შემთხვევაში არ შეესაბამებოდა საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2.7.3 წყალმომარაგებით უზრუნველყოფის ღონისძიებების ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია: წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი მომსახურებას უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიანტი კერძო სამართლის სუბიექტების საშუალებით.⁹⁵ კანონმდებლობის მიხედვით,⁹⁶ სასმელი წყალი უნდა იყოს უსაფრთხო, უვნებელი და აკმაყოფილებდეს ქვეყანაში მოქმედ სტანდარტებს. სასმელი წყლის მიმწოდებელი ორგანიზაცია ვალდებულია

⁹² საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 77, პუნქტი 3.

⁹³ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 77, პუნქტი 4.

⁹⁴ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 87.

⁹⁵ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 16, პუნქტი 2, „თ“ ქვეპუნქტი; მუხლი 163, პუნქტი 1.

⁹⁶ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.

აწარმოოს წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მაჩვენებლებთან შესაბამისობის კონტროლი და მონიტორინგი, მიღებული მონაცემების აღრიცხვა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ფაქტობრივი გარემოება: 2021-2022 წლების ბიუჯეტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, რისთვისაც აღნიშნულ პერიოდში 3,714.9 ათასი ლარია გახარჯული.

აუდიტის ჯგუფმა, მერიის მიერ წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით და შესრულებული სამუშაოების ვიზუალური დათვალიერებით, შეისწავლა მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების ზოგადი მდგომარეობა. ქალაქ ახალციხის, ქალაქ ვალესა და 3 სოფლის⁹⁷ მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. დანარჩენი სოფლების მოსახლეობას წყალი მიეწოდება სხვადასხვა დროს მოწყობილი წყლის სისტემებით, რომელთა გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალარინება. აღნიშნული ორგანიზაცია არ ფლობს კანონით განსაზღვრულ ლიცენზიას. მუნიციპალიტეტში არ ტარდება წყლის სისტემატური ლაბორატორიული შემოწმება სასმელად ვარგისიანობის შესახებ, ასევე 5 სოფლის მოსახლეობას წყალი მიეწოდება გრაფიკით.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს წყალმომარაგების შესაბამისი ლიცენზიის მქონე სუბიექტი, მოსახლეობის ნაწილს წყალი მიეწოდება შეფერხებით, არ მოწმდება სასმელი წყლის ხარისხი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საქმიანობა მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდებისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად არასაკმარისია.

რეკომენდაცია №8

მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმავს და განახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს, გონივრულ ვადაში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით. სტრატეგია ასევე უნდა ითვალისწინებდეს პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის, წყალმომარაგების უზრუნველყოფას შესაბამისი ლიცენზიანტი სუბიექტის მეშვეობით და როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

2.7.4 სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის ანაზღაურება

ფაქტობრივი გარემოება: 2021 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტიდან ხელმძღვანელი პირის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საჯარო მოხელე⁹⁸ გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. პირმა მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გათავისუფლების შესახებ აქტის ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა და განაცდური თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. სასამართლოს გადაწყვეტილებით⁹⁹ თანამშრომლის გათავისუფლების შესახებ ბრძანება¹⁰⁰ ბათილად იქნა ცნობილი, რადგან ეწინააღმდეგებოდა მოქმედი კანონმდებლობით საჯარო სამსახურში

⁹⁷ სოფლები: ჭაჭარაქი, მინამე, ივლიტა.

⁹⁸ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი.

⁹⁹ ახალციხის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება.

¹⁰⁰ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის № 813.13212371 ბრძანება.

დასკვნა

საქმიანობის გარანტირებულ უფლებას. ახალციხის მუნიციპალიტეტს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 6.7 ათასი ლარის ანაზღაურება განაცდურის სახით. აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტმა გასცა 2022 წელს.

მმართველობის პროცესში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის შეუსაბამოდ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად მუნიციპალიტეტმა ადგილობრივი ბიუჯეტიდან გასწია 6.7 ათასი ლარის ხარჯი.

**2.8 წინა პერიოდში
ჩატარებული აუდიტის
შედეგად გამოვლენილი
დარღვევა-
ნაკლოვანებების
მიდგომარეობა**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ახალციხის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის ობიექტმა გაატარა ღონისძიებები და წარმოადგინა ინფორმაცია წინა აუდიტის ანგარიშში ასახული ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორების შესახებ. ამასთან ერთად, მუნიციპალიტეტმა არ უზრუნველყო სათანადო რეაგირება და განმეორებით დაუშვა ზოგიერთი დარღვევა, რაც აღწერილია წინამდებარე აუდიტის ანგარიშში, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსური რესურსების მართვის პროცესი მიმდინარეობს ხარვეზებით;
- გამოვლინდა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები, რომელთა საგარანტიო ვადა ამოწურული არ იყო;
- მოსახლეობის წყალმომარაგების პროცესი ნაკლოვანებებით ხასიათდება;
- მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირების ხარჯები აანაზღაურა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ;
- მუნიციპალიტეტის მიდგომა სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის განსაზღვრისა და საწვავის ხარჯვის შესახებ არარაციონალურია;
- მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა და სხვ.

მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის ობიექტმა დაგეგმოს და განახორციელოს საჭირო ქმედებები აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის და მომავალში არ დაუშვას მათი განმეორება. აღნიშნული აუცილებელია საჯარო დაწესებულების ინტერესების დაცულობისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისათვის.

აუდიტორები

ხელმოწერა

ქრისტინე ეკალაძე
უფროსი აუდიტორი



ბარამ ონიანი
უფროსი აუდიტორი

სოფიო ბელთაძე
უფროსი აუდიტორი

ირაკლი გოგოლიძე
აუდიტორი

თამარ კუხიანიძე
აუდიტორ-ასისტენტი




დანართები

დანართი №1		დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები		
NAT/CMR	სამუშაოების ღირებულება (ლარი)	მიმწოდებელი	დათვალიერებული ობიექტი	გამოვლენილი ხარვეზი
NAT210014263	211 516	შპს „სამცხე XXI“	სოფელ აწყურში სასმელი წყლის სალექარის მოწყობის, არსებული ფილტრის რეაბილიტაციისა და რეზერვუარების სარეაბილიტაციო სამუშაოები	წყლის სალექარი სათანადოდ არ ფუნქციონირებს
NAT200016572	122 252	შპს „ელ ეს ჯორჯია“	სოფელ წყრუთის შიდა გზის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები	გარკვეულ მონაკვეთებზე ბეტონის გზის ზედაპირი ნაწილობრივ დაშლილია
NAT200015266	276 465	შპს „კ-კომპანია“	კეცხოველის ქუჩაზე სამხატვრო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები	ობიექტზე რამდენიმე ადგილას კედლები დაზიანებულია. ჩამოყრილია ბათქაში
NAT210013859	237 381	შპს „ცენტრ ლაინი“	ზარზმელის ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები	დაზიანებული და ამოვარდნილია კაუჩუკის ფენილი
NAT210016938	198 497	შპს „გიკო“	ივანე ახალციხელის ქუჩაზე სპორტული მოედნის მოწყობა	დაზიანებულია სათამაშო მოედნის ღობე და ხელოვნური საფარი
NAT210017005	311 593	შპს „სამცხე XXI“	9 აპრილის ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები	დაზიანებული და ამოვარდნილია კაუჩუკის ფენილი
NAT210012934	103 931	შპს „პროგრესი“	სოფლები: წნისის და ნაოხრების სკვერების სარეაბილიტაციო სამუშაოები	სოფ. წნისში მოწყობილი ფილების დიდი ნაწილი დაზიანებულია, ორი ლითონის კარი ჩამოვარდნილია; სოფ. ნაოხრებში ბეტონის ბილიკი დაზარალებულია
NAT210015390	72 227	შპს „პროგრესი“	სოფლებში კლდეში სკვერის მოწყობის სამუშაოების უზრუნველყოფა	კაუჩუკის საფარი აყრილია, საქანელები დამტვრეულია
NAT220020861	176 653	შპს „დეკაგონი“	სოფელ ზიკილიაში სკვერის მოწყობის სამუშაოები	კაუჩუკის საფარი აყრილია, საყრდენი კედლის უკანა მხარე არ არის სრულად შევსებული
NAT220002105	93 976	შპს „ჰედევ ჯორჯია“	სოფელ გიორგიწმინდაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის (დამამთავრებელი ეტაპი) სარეაბილიტაციო სამუშაოები	მთლიან გზაზე შეინიშნება ბზარები
CMR220135055	22 783	შპს „დეკაგონი“	სოფელ ფერსის შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	გზის ზედაპირის დიდ ნაწილზე შეინიშნება საფარის დაშლა
CMR220139638	29 180	შპს „დეკაგონი“	საყუნეთის სკოლასთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველყოფა	გზის ზედაპირის დიდი ნაწილი ფორიანია
ჯამი:	1 856 454			

დანართი №2

2021-2022 წლებში ავტომობილებში ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობით
ერთჯერადად ჩასხმის შემთხვევები

№	ავტომანქანის ნომერი	ავტომანქანის ავზის მოცულობა (ლიტრი)	ერთჯერადად ჩასხმული საწვავის რაოდენობა (ლიტრი)	სხვაობა (მეტობით ლიტრის ჩასხმა)	ჩასხმის თარიღი
1	QQ927QG	42	50	8	03.11.2021
2	AX811XA	52	74	22	01.11.2021
3	JJ077IJ	50	57	7	01.11.2021
4	J1131JJ	43	50	7	07.10.2021
5	AX811XA	52	75	23	01.10.2021
6	AX811XA	52	80	28	03.09.2021
7	ZL707LZ	55	80	25	01.09.2021
8	AX811XA	52	80	28	02.08.2021
9	AX811XA	52	82	30	01.07.2021
10	AX811XA	52	64	12	14.06.2021
11	ZL707LZ	55	62	7	16.05.2021
12	AX811XA	52	78	26	02.05.2021
13	AX811XA	52	78	26	01.04.2021
14	JJ077IJ	50	60	10	01.04.2021
15	QQ927QG	42	55	13	30.03.2021
16	J1347JJ	42	64	22	16.03.2021
17	ZL707LZ	55	70	15	01.03.2021
18	AX811XA	52	72	20	01.03.2021
19	JJ077IJ	50	60	10	18.02.2021
20	ZL707LZ	55	75	20	09.02.2021
21	AX811XA	52	73	21	01.02.2021
22	BB277FB	50	56	6	21.01.2021
23	JJ077IJ	50	58	8	10.01.2021
24	AX811XA	52	70	18	05.01.2021
25	AA717MM	80	88	8	04.01.2021
26	JJ077IJ	50	60	10	03.01.2021
27	ZL707LZ	55	69	14	01.01.2021
28	NS303SS	50	57	7	10.12.2022
29	NS303SS	50	59	9	01.11.2022
30	NS303SS	50	61	11	01.10.2022
31	JB915BB	57	74	17	20.09.2022
32	NS303SS	50	60	10	01.09.2022
33	NS303SS	50	59	9	01.08.2022
34	JB915BB	57	65	8	24.07.2022
35	NS303SS	50	59	9	03.07.2022
36	NS303SS	50	57	7	01.05.2022
37	NS303SS	50	57	7	08.04.2022
38	NS303SS	50	58	8	08.03.2022
39	NS303SS	50	56	6	01.03.2022
40	NS303SS	50	57	7	01.02.2022
ჯამი:			2619	559	

დანართი №3

2021-2022 წლებში დროის მცირე მონაკვეთში ავტომობილებში ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობით საწვავი ჩასხმის შემთხვევები

№	ავტომანქანის/ზარათი ს ნომერი	ავტომანქანის ავზის მოცულობა (ლიტრი)	ერთჯერადად ჩასხმული საწვავის რაოდენობა (ლიტრი)	დღის მანძილზე საწვავის ჩასხმის ჯერადობა	ჩასხმის თარიღი	ჩასხმის დრო
1	ZZ340CC	55	45	2	29.12.2021	12:40
			46		29.12.2021	14:23
2	JI347JJ	42	28	2	26.02.2021	14:54
			37		26.02.2021	16:58
3	MW819MM	50	12	2	08.02.2021	10:17
			48		08.02.2021	10:55
4	JB915BB	57	65	2	24.07.2022	08:46
			35		24.07.2022	14:53
ჯამი:			316	8		

დანართი №4

2021-2022 წლებში ავტომანქანებში ახალციხის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ შესაბამისი დასაბუთების გარეშე საწვავის ჩასხმის შემთხვევები

№	ავტომანქანის/ზარათის ნომერი	საწვავის ჩასხმის ჯერადობა	საწვავის რაოდენობა (ლიტრი)
1	SS141US	34	931
2	HH011AA	16	586
3	MW819MM	15	445
4	QV331VQ	25	671
5	CC748DD	7	331
6	MB444GL	2	85
7	SZ979ZZ	11	379
8	AG022AA	8	140
9	JI131JJ	16	506
10	AX707MS	16	428
11	OCO542	7	150
12	CG550GC	5	101
13	OV101VV	5	208
14	VO170VV	1	30
15	PP930FF	2	77
16	PP931FF	2	91
17	XSH555	3	80
18	ZL707LZ	1	40
19	HA808PY	4	55
20	OT001BR	1	20
21	BB277FB	1	43
22	SI343II	2	143
23	SJ810SS	1	21
24	AA412VV	33	890
25	BR171RR	1	41
26	RN547NR	5	95
27	PP252EP	1	20
28	QK529KQ	2	45
29	PH804HP	2	30
30	JB915BB	3	146

31	QQ084BQ	2	40
32	ZZ340CC	30	1178
33	SS717YS	1	10
34	QQ927QG	1	50
35	AA717MM	1	20
ჯამი:		267	

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38